

**სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია
კონკურსს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:**

არატრადიციული ენერგეტიკის ლაბორატორიის ინჟინერი

ადგილების რაოდენობა - 2(ორი) სრული სამტატო განაკვეთი

თანამდებობრივი სარგლ - 850 ლარი.

სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი

გამოსაცდელი ვადა - 6 თვე.

ფუნქციები:

- ნახევარგამტარული და თერმოელექტრული მასალების ინდუქციური მეთოდებით მიღების ტექნოლოგიურ პროცესებში მონაწილეობა;
- ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციის სისტემების დამუშავება და დანერგვა;
- ვაკუუმური ტექნიკის და ელექტრომოწყობილობების შეკეთება, დამონტაჟება და გამართვა;
- რადიოელექტრული აპარატურის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა ;
- თერმოელექტრული ბატარეების და თერმოელექტრული გენერატორების დამზადება, კვლევა და გამოცდებში მონაწილეობის მიღება.

განათლება:

ტექნიკური განათლება

სამუშაო გამოცდილება:

არატრადიციული ენერგეტიკის სფეროში მუშაობის გამოცდილება

კანონმდებლობის ცოდნა:

- „საქართველოს შრომის კოდექსის“ ზოგადი ცოდნა;
- სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის წესდება;
- „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობის ზოგადი ცოდნა;
- უსაფრთხოების ტექნიკის დაცვასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები.

ენების ცოდნა:

- სახელმწიფო ენის კარგად ცოდნა.
- ერთი უცხო ენის ცოდნა.

კომპიუტერის ცოდნა

- Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი - დამაკმაყოფილებლად ცოდნა.

კომპეტენციები:

- პასუხისმგებლობის გრძნობა, გამართულად წერისა და მეტყველების უნარი, გუნდურად მუშაობის უნარი, შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა, კომუნიკაბელურობა, პროდუქტიულობა.

სავალდებულოდ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- განცხადება არსებული ფორმის შესაბამისად;
- განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი.
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ავტობიოგრაფია/CV;
- ორი რეკომენდატორის: სახელი, გვარი: სამუშაო ადგილი; თანამდებობა; ტელეფონის ნომერი; ელ.ფოსტის მისამართი.

შენიშვნა:

1. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობა ან არაჯეროვანი სახით წარმოდგენა გამოიწვევს კონკურსანტის მოხსნას კონკურსიდან.
2. განცხადება უნდა იყოს ხელმოწერილი, დათარიღებული და შემდეგ დასკანერებული სახით წარმოდგენილი.
3. დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი დოკუმენტის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარმოდგენა).

კონკურსანტებმა განცხადება და მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ ელექტრონულად, ელ. ფოსტის xlomidze@sipt.org.ge საშუალებით.

კონკურსში მონაწილეობისათვის საბუთების მიღება იწარმოებს 2022 წლის 05 ოქტომბრიდან 2022 წლის 06 ოქტომბრის ჩათვლით.

კონკურსი ჩატარდება 2 ეტაპად:

I ეტაპი - განაცხადების გადარჩევა, რაც გულისხმობს კონკურსანტის მონაცემების შესაბამისობის დადგენას ვაკანტური თანამდებობისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებთან;

II ეტაპი - შერჩეული განაცხადების საფუძველზე მეორე ეტაპზე გადასული კონკურსანტის გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან.

შერჩევის მეორე ეტაპზე გადავლენ მხოლოდ ის კონკურსანტები, რომელთა მონაცემებიც დააკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს.

გასაუბრებაზე კონკურსანტის დროულად არგამოცხადების შემთხვევაში, იგი მოიხსნება კონკურსიდან.

კონკურსის ყოველი ეტაპის შედეგები კონკურსანტს ეცნობება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე.